

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

23.02.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ლოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე);

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

დ. კახნიაშვილი

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. დავით მჭედლიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორი;
2. ანზორ მაჭარაშვილი - შპს - ორიენტირის დირექტორი;
3. თემურ წურწუშია - შპს - ორიენტირის იურისტი;
4. ილია არობელიძე - შპს - ლაზარე +ის დირექტორი;
5. ჯულიეტა ალავიძე - შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
6. თემურ წურწუშია - შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის იურისტი.
7. კირიონ ფერაძე - ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის დირექტორი;
8. ლია კობაიძე-ქოიავა - შპს - გეტის დირექტორი;
9. მარინე ტალახაძე - შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის დირექტორის მოადგილე.
10. ზაზა კილაძე - შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;
11. თამარ ფაჩულია - შპს - თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლის დირექტორი;
12. მადონა ლანჩავა - შპს - სკოლა ლიცეუმ კვირიკეს დირექტორი;
13. მაია ონიანი - ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე;
14. ნათელა ქორიძე - შპს - ლედას დირექტორი;
15. რუსუდან ურიდია - შპს - პელაგონის დირექტორი;
16. ნანა ალექსანდრია - შპს - გიმნაზიის დირექტორი;
17. ნინელი გვენეტაძე - შპს - მზეკაბანი-2007-ის დირექტორი;
18. ეკატერინე ხაჩიძე - შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელის დირექტორი;
19. ლუარა ნორაკიძე - შპს - სენაკის კერძო სკოლა - ლიცეუმის დირექტორი;
20. თამარ ქარჩავა - ა(ა)იპ - სასწავლო-აღმზრდელი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ლიანა კობესაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:18 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - ორიენტირის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - ლაზარე + ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმონაწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - გეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - სკოლა ლიცეუმ კვირიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - ლედას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - პელაგონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - გიმნაზიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - მზეკაბანი-2007-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - სენაკის კერძო სკოლა - ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
17. ა(ა)იპ - სასწავლო-აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ მდებარეობს ქობულეთში, რუსთაველის ქ. N154-ში. დაწესებულების სარგებლობაშია 3 ძირითადი და 2 დამხმარე შენობა-ნაგებობა, რომელიც გადაცემულია მასზე უზურფურქტის ფორმით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ძირითადი შენობა-ნაგებობებიდან ერთში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომელთა დასრულების ვადა ხელშეკრულების თანახმად არის 2012 წლის 2 აპრილი. აღნიშნულ ფართზე არსებული სასწავლო კლას-ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახები აღჭურვილია სასწავლო მიზნებისათვის საჭირო აუცილებელი ინვენტარით. კერძოდ, დაწესებულებას ჰქონდა 400 ერთადგილიანი მერხი და 58 კომპიუტერი. დაწესებულებამ დამატებით შეიძინა 280 ერთეული მერხი, 1 კომპიუტერი, ხოლო 2 საჩუქრად მიიღო ესტონეთის პროფესიულ კოლეჯ „ნარვას“ დირექტორისგან. დაწესებულების შენობა-ნაგებობების საერთო ფართი აღნიშნულ მისამართზე შეადგენს - 6453, 2 კვ.მ.

დაწესებულებას კონკურსის წესით დამატებით აყვანილი ჰყავს 47 შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებელი (ჰყავდათ 32). კონკურსი ჩატარებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული საკონკურსო პირობების დაცვით (ბრძანება N3/1 აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შერჩევის წესის და სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ). ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა პირადი საქმეები შესაბამისი დოკუმენტაციით. მასწავლებლებთან დადებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწესებულებაში პროფესიული პედაგოგების საერთო რაოდენობა შეადგენს - 79.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში იდეალური სიტუაციაა. USAID - ის ახალი პროექტის ფარგლებში, დაწესებულების მატერიალური რესურსი კიდევ გაიზრდება აპრილი-მაისის პერიოდში. მისი განცხადებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული დაწესებულება პროფესიულ სასწავლებელს წარმოადგენს და პროფესიულ სტუდენტებს მუდმივად დაწესებულებაში ყოფნა არ უწევთ.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 900 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.

2.შპს - „ორიენტირის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

შპს - ორიენტირი საკუთრების უფლებით ფლობს თბილისი, ც. დადიანის ქ. №28-ში მდებარე სამსართულიან შენობა-ნაგებობას საერთო ფართობით - 351,3 კვ.მ. (საკადასტრო კოდი №01.12.12.033.003). აღნიშნულ ფართზე არსებული სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახები აღჭურვილია სასწავლო მიზნებისათვის საჭირო აუცილებელი ინვენტარით. კერძოდ, პედაგოგებისა და ადმინისტრაციისათვის საჭირო სამუშაო მაგიდებით, კომპიუტერებით (ადმინისტრაციისათვის განკუთვნილია 2 კომპიუტერი), მერხებით, სკამებით, რაც იძლევა 220 პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესით უზრუნველყოფის საშუალებას. აქვე განთავსებულია ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდითა და 4 კომპიუტერით.

შენობა აღჭურვილია წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის გამართული სისტემით, ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების შესაძლებლობით. შენობა უზრუნველყოფილია გათბობით, რისთვისაც თითოეულ ოთახში დამონტაჟებულია გაზის გამათბობელი. თითოეულ სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, შენობა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, კერძოდ, ერთი ხანძარსაწინააღმდეგო სტენდიტა და სამი ცეცხლმაქრით. აღნიშნულ შენობაში აგრეთვე განთავსებულია შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის ექთანთან.

საზოგადოებრივი კოლეჯი ასევე საკუთრების უფლებით ფლობს თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობა (წერონისის ქ. №208) ნაკვეთი 018-ში, არსებულ ოთხსართულიან შენობა-ნაგებობას - საერთო ფართობით 1008,28 კვ.მ. აღნიშნული ფართი ჩათვლილია ავტორიზაციის მიზნებისათვის.

სულ დაწესებულების საერთო ფართი ორივე მისამართზე შეადგენს - 1359,58 კვ.მ.

დაწესებულებას კონკურსის წესით დამატებით აყვანილი ჰყავს 26 შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებელი. კონკურსი ჩატარებულია საკონკურსო პირობების დაცვით. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა პირადი საქმეები შესაბამისი დოკუმენტაციით. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სულ დაწესებულების პროფესიული პედაგოგის საერთო რაოდენობა შეადგენს - 78.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, საბჭოს თანხმობის შემთხვევაში რამდენი პროფესიული სტუდენტის დამატება სურდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განესაზღვდა 652 პროფესიული სტუდენტით, ხოლო კონტინგენტის გაზრდა სურს 300-ით.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული მონაცემებით დაწესებულების ფართი არ იძლევა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით შპს - ორიენტირს გააჩნია ახალი რესურსი, კერძოდ, კეთილმოწყობილი შენობა-ნაგებობა საერთო ფართით - 351,3 კვ.მ. და დამატებით 26 შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებელი.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოღელიანმა, განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება დაწესებულების საერთო რესურსი, შესაბამისად, სთხოვა წარმომადგენელს დაეზუსტებინა, დაწესებულების საერთო ფართი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - „ორიენტირის“ საერთო ფართი ორივე მისამართზე შეადგენს - 1359,58 კვ.მ.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით, არსებული ფართიდან გამომდინარე, კონტინგენტის განსაზღვრა შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 600-ით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, სტუდენტები ორ ცვლაში სწავლობდნენ.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განმარტა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვის დროს მხედველობაში მიიღება დაწესებულების საერთო რესურსი. ამასთან, შპს - „ორიენტირისათვის“ ავტორიზაციის მინიჭების პერიოდში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მოხდა იმ დროს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად.

საბჭომ იმსჯელა შპს - „ორიენტირისათვის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულება ვერ შეძლებდა 962 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ორიენტირის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ორიენტირს უარი ეთქვას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდაზე.

3. შპს - ლაზარე + -ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 თანაშემწის მე-2 საფეხურის „ლათინური ენის„ სილაბუსში არ არის მითითებული სწავლის შედეგები.

1.2 ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის სილაბუსში „ინფექციური დაავადებების მქონე პაციენტის მოვლა“ არ არის მითითებული შუალედური შეფასების საათები, თუმცა შუალედური და დასკვნითი შეფასების ჯამური რაოდენობა შეესაბამება პროგრამაში მითითებულ საათების რაოდენობას.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 პროფესიული კოლეჯი შპს - ლაზარე+ განთავსებულია ქალაქ რუსთავში, მაჩაბლის ქუჩა N3-ში მდებარე ოთხსართულიანი შენობის მესამე სართულზე და იჯარის ხელშეკრულებით ფლობს 550 კვ.მ. ფართს, აღნიშნული ფართიდან 2 აუდიტორია (50კვ.მ.) გაურემონტებელია და არ არის აღჭურვილი საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით.

2.2 შენობის შემოსასვლელი (პირველი სართული) აღჭურვილია პანდუსით. მესამე სართულზე ასასვლელ კიბეებზე პანდუსი დამონტაჟებული არ არის. თუმცა, კოლეჯს გაფორმებული აქვს შპს „ლ.დ. ინვესტთან“ პანდუსის დამზადებასა და დამონტაჟებაზე ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ლ.დ. ინვესტი“ იღებს ვალდებულებას, დაუმზადოს და დაუმონტაჟოს კოლეჯს მოძრავი პანდუსი 2012 წლის 15 თებერვლამდე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შენიშვნები იყო ტექნიკური ხასიათის და ორივე მათგანი უკვე გამოსწორებულია. ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა მოხდა ზეპირ განხილვაზე.

რაც შეეხება 2.2 შენიშვნას დაწესებულებამ წარმოადგინა შენობაში დამონტაჟებული ხის მოძრავი პანდუსის ამსახველი ფოტო-მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ შპს - ლაზარე+, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განმარტა, რომ მატერიალური რესურსის გათვალისწინებით დაწესებულებას არ შეეძლო 200 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა კითხვით ექსპერტს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გაფორმებული ხელშეკრულებები კლინიკებთან.

ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 3 კლინიკასთან, ხოლო პრაქტიკის კომპონენტი შეადგენდა 40%-ს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯი გადავიდა ახალ შენობაში, ხოლო ინვენტარის ნაწილი განთავსებული იყო ძველ შენობაში, რომელსაც უახლოეს პერიოდში გადმოიტანდა შესაბამის მისამართზე.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია მაქსიმუმ 180 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - „ლაზარე +“-ის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლაზარე + -ის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ლაზარე + -ს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

4. შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მე-3 საფეხურის პროგრამის პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის აღმწერის შედეგებში - კომუნიკაციის უნარი გაწერილია შემდეგი: „შეუძლია: სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა; მარტივი მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული დახასიათება და ფილტრაცია“. აღნიშნული შედეგი განსაზღვრულია სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში, თუმცა ამ შედეგების მიღწევასთვის შესაბამისი საკითხის თეორიული სწავლება არსად არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულის თანახმად, თუ პროფესიულ სტუდენტს არ აქვს მიღებული მინიმალური თეორიული ცოდნა, მაშინ მხოლოდ სასწავლო პრაქტიკის პროგრამით გაწერილი შედეგები ვერ მიიღწევა. ეს კი ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არა აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა.

1.2 ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მე-2 საფეხურის პროფესიული პროგრამის პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის აღმწერ შედეგებში მითითებულია შემდეგი: ცოდნა და გაცნობიერება „იცის სახელმწიფო ენის გრამატიკის საფუძვლები.“ აღნიშნული შედეგი გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში - „საარქივო საქმე“, თუმცა ამ სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით სახელმწიფო ენის გრამატიკის საფუძვლების სწავლება ან/და ამ ცოდნის შეფასება არ დასტურდება. აღნიშნულის თანახმად, პროფესიულ პროგრამაზე „სახელმწიფო ენის გრამატიკის საფუძვლები“ არ ისწავლება, რაც ადასტურებს იმას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) სილაბუსებით გაწერილი შედეგები ვერ მიიღწევა.

1.3 მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციის აღმწერის ცოდნა და გაცნობიერებაში აღნიშნულია შემდეგი: „იცის: ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი; კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები: შესავალი კურსი, საოფისე პროგრამები, ინტერნეტის გამოყენება, ელექტრონული ფოსტის გამოყენება...“ აქვე კვალიფიკაციის აღმწერის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ნაწილში მოცემულია: „აქვს უნარი: შეასრულოს მარტივი მათემატიკური გაანგარიშებები..“, კომუნიკაციის უნარში -, აქვს უნარი საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის სრულფასოვანი გამოყენების“. აღნიშნული შედეგები მოითხოვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ისეთი სასწავლო კურსების ან/და საკითხების

სწავლებას, რომელიც ითვალისწინებს მათემატიკისა და საოფისე პროგრამების სწავლას, თუმცა ისინი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, პროგრამას არა აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა და სტანდარტით დადგენილი შედეგების მიღწევა შეუძლებელია.

1.4 დაწესებულების მიერ შემუშავებულ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით სასწავლო და საწარმოო პრაქტიკაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობისას დამოუკიდებელი მუშაობის დრო. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, სადაც მოცემულია, რომ პრაქტიკის კომპონენტი უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

1.5 სასტუმროს საქმისმწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსში „ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები“ 2 კრედიტის მოცულობაში გაწერილია თეორიული და პრაქტიკული სწავლება (50 საათი). აქვე გაწერილია პროფესიული სტუდენტის სასწავლო პრაქტიკა, რომელზეც მითითებულია 2 კრედიტისგან დამოუკიდებლად 60 საათი. აქედან გამომდინარე, 2 კრედიტიანი სასწავლო კურსის საათების რაოდენობა გამოდის 110 საათი. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომელშიც მოცემულია, რომ ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლების სილაბუსის შინაარსის თანახმად პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება მხოლოდ ლექცია-პრაქტიკულის მიხედვით, ხოლო სასწავლო პრაქტიკა შეფასების გარეშეა დარჩენილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ ბრძანებით დადგენილი შეფასების სისტემით.

1.6 სასტუმროს საქმისმწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის წინაპირობებში მითითებულია „საქართველოს და მსოფლიოს გეოგრაფიის“ ცოდნა. პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსების ჩამონათვალში ასეთი საგანი გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, პროფესიულ პროგრამას არა აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა.

1.7 სასტუმროს საქმისმწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის შეფასების ნაწილში მითითებული შემდეგი - „საწარმოო პრაქტიკა ფასდება დამოუკიდებლად 100 ქულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 51 ქულა.“ არ არის გაწერილი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების წილები, შესაბამისად დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მეოთხე პუნქტს, სადაც მოცემულია, რომ დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: შუალედურ და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

1.8 სასტუმროს საქმისმწარმოებლის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსში „მენეჯმენტის საფუძვლები“ სასწავლო ფორმატში მითითებულია: „ლექცია, პრაქტიკული და სემინარი“, თუმცა ამავე სილაბუსში საათების რაოდენობა განაწილებულია მხოლოდ თეორიულზე (სავარაუდოდ ლექცია) და პრაქტიკულ

მეცადინეობაზე, ხოლო სემინარი სასწავლო საქმიანობის საათების განაწილებაში არსად არ არის მითითებული.

1.9 დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსების ფორმა არ არის ერთიანი წესით შემუშავებული, შესაბამისად დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ არ არის დამტკიცებული კურიკულუმის და სილაბუსის ფორმები.

1.10 დაწესებულებას შემუშავებული არა აქვს მის მიერ განსაზღვრულ, პროგრამებზე დაშვების წინაპირობის ჩატარებისა და შეფასების წესები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებს იზიარებდა და ყველა მათგანი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. დავით კახნიაშვილმა გამარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ექსპერტსა და თავად ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი საჭირო იყო დაფიქსირებული ხარვეზების კომპლექსური და არსებითი გადამოწმება, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, სხდომის ფორმატში არ გააჩნია. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივ კოლეჯს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

5. ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხავანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს, მეორე სართულსა და ორსართულიან შენობაზე დაშენებულ მესამე სართულზე მიმდინარეობდა რემონტი, ხოლო პირველ სართულზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 350-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ფლობდა 17 კომპიუტერსა და 334 მერხს. შესაბამისად, აღნიშნული რაოდენობების გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 334 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 334-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურ ცენტრს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 334-ით.

6. შპს - გეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხავანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2011-2012 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ (პედ.საბჭოს ოქმი №1; 12.09. 2011 წ.) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრძანება N2; 12.09.2011). სკოლაში სასწავლო პროცესი დაიწყო 15.09.2011 – ში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით „სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შპს - გეტი მდებარეობს ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. N112-ში, ხუთსართულიანი შენობის პირველ-მეოთხე სართულებზე. შპს - გეტს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება შპს „კამარასთან“. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე სკოლას სარგებლობაში აქვს 142.05 კვ.მ. (მესამე სართულზე); 124.54 კვ.მ.(მეოთხე სართულზე); 55.8 კვ.მ. (პირველ სართულზე); 243.03 კვ.მ. (მეორე სართულზე); 85.43 კვ.მ.(მეოთხე სართულზე) ფართი, სულ - 650.85 კვ.მ.

დაწესებულებამ 2012 წლის 20 თებერვალს ცენტრში წარმადგინა N75 წერილი შესაბამისი დოკუმენტაციით (ცენტრში რეგისტრაციის N03-1357), რომლის თანახმადაც შპს - პორტასგან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლის მართლზომიერ მფლობელობაშია შპს - პორტასგან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე N1 შენობის პირველ სართულზე 55.8 კვ.მ; მეორე სართულზე - 88.42 კვ.მ; მესამე სართულზე - 86.61 კვ.მ. და N 2 შენობის 2-სართულიანი ფართი 243.03 კვ.მ. აგრეთვე, სკოლა შპს - კამარასგან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს შენობის მე-4 სართულზე ერსებულ 85.43 კვ.მ-ს (საკადასტრო კოდი N01.13.05.005.005). საჯარო რეესტრის მეორე ამონაწერის თანახმად, სკოლა ფლობს შენობის მეორე სართულზე არსებულ ფართს 186.62 კვ.მ; მესამე სართულზე არსებული ფართს - 182.51 და მეოთხე სართულზე არსებულ 182.62 კვ.მ ფართს (საკადასტრო კოდი N01.13.05.005.025).

ამდენად, შენობის პირველ სართულზე - 55.8 კვ.მ;

მეორე სართული - 518.07 კვ.მ.

მესამე სართული - 269.12 კვ.მ,

მეოთხე სართული - 268.05 კვ.მ.

ჯამში - 1111.04 კვ.მ.

2.2 სკოლაში დამონტაჟებულია ხის პანდუსები. ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა პანდუსების შეცვლა რკინის მყარი პანდუსებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა სასაქონლო ზედნადებები მყარი პანდუსების დასამზადებლად საჭირო მასალის შესყიდვის თაობაზე, აგრეთვე, კობა კობაიძესთან გაფორმებული სამუშაოს შესრულების შესახებ შედგენილი აქტი, რომლის თანახმადაც, დამზადდა და დამონტაჟდა ლითონის მყარი პანდუსები. წარმოდგენილია აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტოსურათები.

2.3 სკოლის ვებგვერდის დომენი დარეგისტრირებულია სკოლა „გეტის“ მე-12 კლასის მოსწავლის, გიორგი დათუაშვილის, სახელზე 2011 წლის 9 მარტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2012 წლის 14 თებერვალს შპს - გეტის სახელზე დარეგისტრირდა დომენი gergeti – geti.ge (მოქმედების ვადა 2013 წლის 13 თებერვლამდე).

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჯარო რეესტრის ამონაწერის ასეთი რთული ფორმა განპირობებულია იმით, რომ შენობა ორ სხვადასხვა საკადასტრო კოდით არის დარეგისტრირებული.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, სკოლას მითითებულ მისამართზე მთლიანი შენობა უკავია, თუ სხვა დაწესებულებაც იყო აღნიშნულ ფართში.

სკოლის დირექტორმა დაადასტურა ზემოაღნიშნული.

სხდომის თავმჯდომარე, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა თუ რატომ იყო განსხვავება მეორე და მესამე სართულების ფართს შორის.

სკოლის დირექტორის განცხადებით, არსებობს ორი შენობა, რომელთა შორის დაშორება დაახლოებით 7 მეტრია. სართულების ფართის საერთო ჯამით ამიტომ დაფიქსირდა განსხვავება.

საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის, განცხადებით, მთავარია, რომ დაწესებულებას აღნიშნული ოდენობის ფართს მართლობებიერად ფლობს და დარეგისტრირებული აქვს საჯარო რეესტრში.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, ყველა ხარვეზი გამოსწორებულია, მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების ვადები რჩება ხარვეზად. მისი განმარტებით, აღნიშნული აშკარად დარღვევაა, თუმცა, მთავარია, რომ სწავლის დაწყებამდე იყო დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა და არა შემდგომ. მან შენიშვნა მისცა სკოლის დირექტორს და მიუთითა, რომ აღნიშნული დარღვევა აღარ მოსვლოდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ფლობდა 287 მერხს, შესაბამისად, აღნიშნული რაოდენობების გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 287 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - გეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გეტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 287-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გეტს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 287-ით.

7. შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითმეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითმეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულება 24 საათიანი სარგებლობის უფლებით ფლობს ერთ მისამართზე არსებულ ფართს: მიწის დაზუსტებული ფართობი 6625,90კვ.მ. და მასზე მდგომ ორ შენობა-ნაგებობას, აქედან, ერთი სამ სართულიანი შენობა-ნაგებობა 2249,63 კვ.მ-ით გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის, ხოლო მეორე, ხუთსართულიანი შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 4951,8 კვ.მ. ექსპლუატაციაში შევა 2012 წლის სექტემბერში;

1.2 სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის პანდუსი და ერთი სველი წერტილი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინდ. მეწარმესთან და ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწყებული იყო პანდუსის მოწყობა შენობის ზედა სართულებზე.

თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს, დაეზუსტებინა ამ ეტაპისათვის დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას მოცემული დროისათვის გააჩნდა 2249,63 კვ.მ. საერთო ფართის მქონე სამ სართულიანი შენობა-ნაგებობა.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა ამ ეტაპზე დაწესებულებაში. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა 1424 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 1500-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

20:31 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:55 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის

მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეეძლო 1500 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

8. შპს - თამარ ფაჩულას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 2009 წლის 31 ივლისის 7 წლიანი იჯარის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე, სკოლა ფლობს 1120 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 576 კვ.მ. მიწის ნაკვეთს შენობა-ნაგებობით. არც რეესტრის ამონაწერში და არც იჯარის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართი. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი დგინდება მხოლოდ შენობის აზომვითი ნახაზითა და ადგილზე დათვალიერებით (პირველი სართული 282,64 კვ.მ. - მეორე სართული 293,38 კვ.მ.).

1.2 სკოლის 2 საკლასო ოთახში განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ნაწილი, თუმცა შპს “ინსტა-ჯორჯიასგან“ უკვე შეძენილია (გადახდილია სრული თანხა) ახალი სრული ლაბორატორია (208 ერთეული), რომლის ჩამოტანაც თბილისიდან, დირექტორის განმარტებით, ვერ მოხერხდა რთული კლიმატური პირობების გამო. ოთახში, სადაც განლაგებული იქნება ახალი ლაბორატორია, დამონტაჟებულია სველი წერტილი, თუმცა არ არის გამწოვი. გამწოვის ფუნქციას ასრულებს დიდი ფანჯარა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აღნიშნა, რომ ხარვეზი უკვე გამოსწორებულია და სკოლას უფიქსირდება 576,02 კვ.მ-ის მართლზომიერი ფლობა.

ლაბორატორიაში გამწოვთან დაკავშირებული ხარვეზი, დავით კახნიაშვილის განცხადებით, არაარსებითად უნდა ჩაითვალოს, თუმცა სკოლამ აღნიშნული რეკომენდაციის სახით უნდა მიიღოს და გამოასწოროს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 150-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ფლობდა 150 მერხს, თუმცა 7 კომპიუტერს. შესაბამისად, აღნიშნული რაოდენობების გათვალისწინებით,

დაწესებულებას შეუძლია 140 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ჩუქების აქტი ერთ კომპიუტერზე. ექსპერტმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დაადასტურა აღნიშნული.

აღნიშნულ შემთხვევაში, ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, უზრუნველყოფდა 150 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

9. შპს - სკოლა ლიცეუმი კვირიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას ლაბორატორია არა აქვს. სკოლა სწავლა/სწავლების განხორციელებას გეგმავს დაწყებით საფეხურზე.

1.2 ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით კახნიაშვილმა, თვითაცილების შესახებ განაცხადა.

საბჭომ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მას ჰქონდა მოლაპარაკებები სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან და მათი განმარტებით, სანამ სკოლას მოსწავლეები არ ეყოლება, მანამდე მანდატურის სამსახური სკოლაში ვერ შევა.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, ის ფლობს ინფორმაციას, რომ დაწესებულებას განაცხადი აქვს გაკეთებული სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურში და როგორც კი სწავლა დაიწყება სკოლაში, მანდატურიც ეყოლება სკოლას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 70-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 70 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - სკოლა ლიცეუმი კვირიკეს შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა ლიცეუმი კვირიკეს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა ლიცეუმ კვირიკეს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70-ით.

10. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ერთი კამერა, რომლის ტექნიკური მონაცემები არ შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გიმნაზიაში დამონტაჟდა ახალი უსაფრთხოების კამერა. ზეპირ მოსმენაზე მოხდა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, მათ შორის დაწესებულების მიერ გადახდილი 1350 ლარის დამადასტურებელი ქვითრისა და კამერის ტექნიკური მახასიათებლების წარმოდგენა.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა ამ ეტაპზე დაწესებულებაში. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა 294 მოსწავლე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა რომ მისთვის ცნობილია საბჭოს პრაქტიკა და შესაბამისად, ვინაიდან მერხების რაოდენობა შეადგენდა 301-ს, მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 301-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეეძლო 301 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 301-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 301-ით.

11. შპს - ლედას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას ლაბორატორია არა აქვს. სკოლა სწავლა/სწავლების ახორციელებს დაწყებით საფეხურზე.

1.2 სკოლას არა აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლისათვის, კერძოდ, არა აქვს პანდუსი.

1.3 სკოლას აქვს ვებ-ბეგრდი www.montparnasse.edu.ge, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია და ინფორმაციის განთავსება ხდება ეტაპობრივად.

1.4 სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

1.5 სკოლაში დამონტაჟებულია 1 ვიდეოთვალი, რომლის სათვალთვალო პულტიც მოთავსებულია დირექტორის ოთახში. აღნიშნული კამერა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დავით კახნიაშვილმა საბჭოს დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, 1.1 შენიშვნა მოხსნა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლამ დაამზადა პანდუსი და წარმოადგინა პანდუსების დამზადების შესახებ ხელშეკრულება და ფოტომასალა. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, აღნიშნული დადასტურდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სკოლაში 2012 წლის 1 მარტიდან შევა მანდატური.

1.5 პუნქტში დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ხელშეკრულება კამერის შესყიდვის შესახებ. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კამერის მახასიათებლები არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანების შესაბამისი კამერის შესყიდვა და დამონტაჟება.

სკოლის დირექტორმა, დამატებით, წარმოადგინა 20 სასკოლო მერხის დამზადებაზე ხელშეკრულება და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 140-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 140 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ლედას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლედას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ლედას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

12. შპს - პელაგონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს „პელაგონი“ მდებარეობს ქ. სენაკში წმ. ნინოს ქ. №8-ში. სკოლა განთავსებულია სს „სენაკი XXI საუკუნის“ მფლობელობაში არსებული ოთხსართულიანი შენობის მე-3 სართულზე. საერთო ფართით 267,95 კვ.მ. (2010 წლის 1 ოქტომბრის 10 წლიანი ქირავნობის ხელშეკრულება).

სკოლა ასევე ფლობს ამავე სართულზე განთავსებულ 18 კვ. მ. ოთახს (ფიზიკურ პირთან – გელა ჩემიასთან გაფორმებული 2008 წლის 31 დეკემბრის ქირავნობის ხელშეკრულება).

სკოლას თხოვების ხელშეკრულების თანახმად, ქველმოქმედების სახით – უსასყიდლოდ, მფლობელობაში გადაეცა ამავე შენობის პირველი სართულის 115 კვ.მ და ასევე მიმდებარე 30 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთი, თუმცა ეს ფართი რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

1.2 სკოლას აქვს სასკოლო ლაბორატორიის არასრული ჩამონათვალი (სავალდებულო ჩამონათვალის დაახლოებით 95%), რომელიც სკოლამ შეიძინა 2009 და 2010 წლებში.

1.3 ბიბლიოთეკას არ აქვს ელექტრონული კატალოგი, თუმცა მისი შექმნა, ისევე როგორც მისი ფონდის გამდიდრება, გაწერილია ექსპერტთა სამოქმედო გეგმაში.

1.4 სკოლის ვებ-გვერდი ექსპერტთა ვიზიტის დროს დამუშავების პროცესში იყო. იმ დროისთვის, მასზე განთავსებული იყო საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოგალერეა და ის 21 მიზეზი, თუ რატომ უნდა აირჩიოს მოსწავლემ ეს სასწავლებელი.

1.5 ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან. 1.6 დაწესებულებას გააჩნია 2 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა და შესაბამისი ინვენტარი, რომლითაც სრულად ხდება შენობის შიდა პერიმეტრის კონტროლი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლამ შეიძინა და დაიწყო გარე პერიმეტრის კამერის დამონტაჟება. გარე პერიმეტრის კამერის პასპორტის თანახმად, ის შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება - ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 115 კვ.მ. ფართის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება მათ ვერ მოახერხეს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ავტორიზაციის მიზნებისათვის სკოლას აქვს 285.96 კვ.მ. ფართი.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდა, რომ სკოლამ შეავსო სასკოლო ლაბორატორია.

ბიბლიოთეკის კატალოგთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას აქვს კატალოგი, მხოლოდ არ ჰქონდა ელექტრონული ვერსია. საბჭოს აღნიშნული ხარვეზი არაარსებითად მიიჩნია.

ვებგვერდთან დაკავშირებულ ხარვეზზე საბჭომ მიიჩნია არაარსებითად, რადგან საიტზე არსებული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად საკმარისად ჩათვალეს.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება, შესაბამისად, საბჭომ შენიშვნა მოხსნა.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა გარე პერიმეტრის კამერის დამონტაჟების შესახებ ფოტომასალა.

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა სკოლის დირექტორს მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილება, რომ ცენტრს ნებისმიერ დროს აქვს უფლება გადაამოწმოს სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა არ ფლობდა საკმარისი რაოდენობის მერხს.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა 30 სასკოლო მერხის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დაადასტურა აღნიშნული.

აღნიშნულ შემთხვევაში, ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, უზრუნველყოფდა 99 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - პელაგონის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პელაგონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 99-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პელაგონს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 99-ით.

13. შპს - გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს „გიმნაზია“ მდებარეობს ქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანი №28 - ში. იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლას აქვს სასწავლო ფართი 339. 33 კვ.მ. გარდა ამისა, ქ. ფოთში, 9 აპრილის ხეივანი N23-ში სკოლა იჯარის ხელშეკრულებით ფლობს 209.68 კვ.მ. სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სულ სკოლას აქვს 549.01 კვ.მ. ფართი.

აღსანიშნავია, რომ იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, მოიჯარეს 209 კვ.მ. ფართზე (ქ. ფოთში, 9 აპრილის ხეივანი №23 - ში) ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2012 წლის 31 იანვრამდე.

1.2 ბიბლიოთეკას, ლაბორატორიას და 1 საკლასო ოთახს აქვს ქუჩის მხრიდან დამოუკიდებელი შესასვლელი. იქ მოსახვედრად მოსწავლეს უწევს სკოლის შენობიდან გამოსვლა ქუჩის ფეხით სავალ ნაწილზე.

1.3 სკოლის 5 საკლასო ოთახს აქვს მეორადი განათება.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადასტურდა, რომ სკოლას მართლზომიერ მფლობელობაში აქვს 549.01 კვ.მ. ფართი.

მეორად განათებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა, სკოლის საკლასო ოთახების განათების აღსაქმელად.

ექსპერტმა, ნინო ჟვანიამ, განაცხადა, რომ სკოლა ქუჩის პირასა და პირველ სართულზე მდებარეობს. ფანჯრებსა და საკლასო ოთახებს შორის არის დერეფანი. სწორედ, აღნიშნული დერეფნიდან ხდება ოთახის განათება ბუნებრივად.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როგორ ხდება ვენტილაცია საკლასო ოთახებში.

სკოლის დირექტორის განმარტებით, კლასებში სულ მცირე 3 ბავშვი იყო, ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი 11-მოსწავლიანი კლასი იყო, შესაბამისად, მსგავს ოთახებში მცირეკონტინგენტიანი კლასი იყო განთავსებული და ვენტილაცია ხდებოდა კარების მხრიდან.

დავით კახნიაშვილმა რეკომენდაცია მისცა სკოლას, რომ, როგორც კი საშუალება მიეცემათ ან ფართი დაიმატონ, ან შენობა შეიცვალონ.

შესვენება გამოცხადდა - 21:37

სხდომა განახლდა - 21:58

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მაქსიმალურად ეცადათ და მოეგვარებინათ ბუნებრივი განათების პრობლემა, რადგან ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებისათვის აუცილებელია, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ ნორმალური განათება და ისინი ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს სწავლის პროცესში.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შეამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 168-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 168 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 168-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გიმნაზიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 168-ით.

14. შპს - მზეკაბანი - 2007-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულება განთავსებულია თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №82-ში. დაწესებულების საერთო ფართი შეადგენს 731,90 კვ.მ-ს, აქედან სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულია 686,4 კვ.მ, ხოლო 45,5კვ.მ. ფართი სარემონტოა და მისი გარემონტება იგეგმება 2013-2014 სასწავლო წლისათვის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა რომ დაწესებულებამ შეიძინა დამატებით 10 მერხი და მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 140-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ შპს - მზეკაბანი - 2007, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეეძლო 140 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მზეკაბანი - 2007-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მზეკაბანი-2007-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

15. შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 შპს გრიგოლ ხანძთელის სახელობის კერძო სკოლა კანდელი მდებარეობს ხაშურში, ხეთაგუროვის ქ. N10-ში. სკოლას იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ხაშურის მუნიციპალიტეტთან, რომელიც დროებით სარგებლობაში გადასცემს საბავშვო ბაღის შენობის 295,4 კვ.მ.-ს. (შენობის საკადასტრო კოდი N69.08.19.028). ხელშეკრულება (მოქმედების ვადა 1.09.2008–1.09.2016) არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

1.2 სველი წერტილი არ არის უზრუნველყოფილი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

1.3 სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ პირველ საფეხურზე, სკოლას არ აქვს ლაბორატორია.

1.4 სველი წერტილი არ არის კეთილმოწყობილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

1.5 სკოლას არ აქვს ხელშეკრულება გაფორმებული არც ერთ ინტერნეტის მიმწოდებელ პროვაიდერთან. დაწესებულებისთვის ინტერნეტის მიწოდებას უზრუნველყოფს საბავშვო ბაღი, რომლის თაობაზეც სკოლის დირექტორის განმარტებით, ბაღის ადმინისტრაციასთან არსებობს სიტყვიერი შეთანხმება.

1.6 სკოლის ვებგვერდი <http://www.schoolkandeli.ge> მზადების პროცესშია, მასზე განთავსებულია მხოლოდ სკოლის მისია, მიზნები და ინფორმაცია სკოლის მდებარეობის შესახებ.

1.7 სკოლას აქვს 3 უსაფრთხოების კამერა, ვიზიტის დროს დამონტაჟებული იყო მხოლოდ ერთი, რომელიც ახორციელებდა გარე პერიმეტრის კონტროლს, მაგრამ არ ხორციელდებოდა ჩაწერა აპარატურის არ ქონის გამო. შიდა პერიმეტრზე უსაფრთხოების კამერა არ იყო დამონტაჟებული. სკოლამ ვერ წარმოადგინა ვიდეოთვალის ტექნიკური მახასიათებლები და ვერ დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობა.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას ჰყავს 16 მასწავლებელი. 14 მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, პედაგოგებს აქვთ ბაკალავრის ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი.

რაც შეეხება ორ პედაგოგს:

1) ეკატერინე ხარაზიშვილი – რუსული ენისა და ბიოლოგიის მასწავლებელი. პირადი საქმის გადამოწმებით დგინდება, რომ მას საშუალო სკოლა დამთავრებული აქვს რუსეთში, კერძოდ ტომსკში. პირად საქმეში წარმოდგენილი სერტიფიკატით ირკვევა, რომ მას გავლილი აქვს წინაპროფესიული განათლებისა და დაგეგმვის ცენტრში სამედიცინო-ბიოლოგიური და ტანსაცმლის დიზაინერის პროგრამა. სკოლას რუსული ენისა და ბიოლოგიის სხვა მასწავლებელი არ ჰყავს.

2) თამარ კვიციანი – ინგლისური ენის მასწავლებელი. პირად საქმეში წარმოდგენილი დიპლომი ადასტურებს, რომ მას აქვს ფილოლოგის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ამ ეტაპისათვის ხელშეკრულება რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ზემოაღნიშნული და წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით დაწესებულების სარგებლობაში არსებული საერთო ფართი შეადგენს - 295,4 კვ.მ.-ს.

თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა ახორციელებდა თუ არა სკოლა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და დაინტერესდა, სულ რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. წარმომადგენლის თქმით, სკოლა ახორციელებს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და ჰყავს 53 მოსწავლე.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხარვეზი გამოსწორებულია და ზეპირ მოსმენაზე წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილის ამსახველი ფოტო-მასალა.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წარუდგინა საბავშვო ბაღთან და სილქნეტთან დადებული ხელშეკრულება.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სარგებლობდა თუ არა სკოლა მანდატურის მომსახურებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლამ უკვე გააფორმა ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან.

უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ შეიძინა 2 უსაფრთხოების კამერა და ჩამწერი აპარატურა, რისი დამადასტურებელი ხელშეკრულების წარმოდგენაც მოხდა ზეპირ მოსმენაზე. წარმომადგენელმა განმარტა, რომ რაიონის მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდა თანხის განაწილება და შესაბამისად, ამ ეტაპზე გადახდილია მხოლოდ 100 ლარი.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკვე გათავისუფლებულნი არიან ინგლისური ენის მასწავლებელი თამარ კვიციანი, რომლის საათები გადანაწილდა დანარჩენ პედაგოგებზე და რუსული ენის მასწავლებელი ეკატერინე ხარაზიშვილი, რომლის ადგილი დაიკავა რუსული ენის კვალიფიციურმა მასწავლებელმა.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ დირექტორის მოვალეობაა მოიძიოს კვალიფიციური კადრები. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა თავჯდომარეს და დამატებით აღნიშნა, რომ რაიონში ზოგადად პრობლემატურია რუსული ენის მასწავლებლის მოძიება. საბჭოს წევრმა, ლალი ლოდელიანმა, განაცხადა, რომ იგი იცნობდა რაიონის პრობლემას და ანგარიშგასაწევი იყო ამ კუთხით არსებული რეალობა, მითუფრო, რომ ხარვეზი უკვე გამოსწორებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის

გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 90-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ დაწესებულებას შეეძლო 53 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 53-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 53-ით.

16. შპს - სენაკის კერძო სკოლა - ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას 2012 წლის 10 თებერვალს შპს "ინსტა-ჯორჯიასთან" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის თანამედროვე ლაბორატორიის შექმნაზე. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას გადახდილი ჰქონდა 6700 ლარი. ამასთან, ლაბორატორიის მიწოდება განხორციელდება მას შემდეგ, რაც სრულიად იქნება თანხა გადახდილი. ხელშეკრულების მიხედვით სკოლამ 13800 ლარი უნდა გადაიხადოს 2012 წლის 29 თებერვლამდე.

1.2 სკოლას ერთ შენობაში აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, მეორე შენობაში, დაწესებულება გეგმავს სსსმ მოსწავლეზე ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას.

1.3 ვიზიტის პერიოდისთვის მოლაპარაკებები სკოლასა და მანდატურის სამსახურთან დასრულებული არ იყო, შესაბამისად, სკოლას არ ჰყავდა მანდატური.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ უკვე გააფორმა ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან და 1 მარტიდან დაწესებულებაში იქნება მანდატური. რაც შეეხება ლაბორატორიის დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპისათვის უკვე გადახდილია 9100 ლარი.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰყავდა თუ არა სკოლას ამ ეტაპზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, ამასთან, სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავდა მეორე შენობაში ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან დაწესებულას არ გააჩნდა სსსმ მოსწავლე, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში ერთ შენობაში მოწყობილი ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი, შენიშვნა არაარსებითად უნდა მიჩნეულიყო. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის პოზიცია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 180-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ შპს - სენაკის კერძო სკოლა - ლიცეუმი, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 176 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სენაკის კერძო სკოლა - ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 176-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სენაკის კერძო სკოლა - ლიცეუმს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 176-ით.

17. ა(ა)იპ - სასწავლო-აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მცირე აღჭურვილობა;

1.2 სკოლას წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის არ ჰყავს მანდატური.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში რომელი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის განხორციელებას აპირებდა სკოლა. დაწესებულების დირექტორმა, თამარ ქარჩავამ განმარტა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, სკოლა განახორციელებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, აღნიშნული არ წარმოადგენდა არსებითი ხასიათის შენიშვნას. მოცემული მოსაზრება გაიზიარა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა.

დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2012 წლის 23 თებერვალს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სკოლაში მანდატური შევა 2012 წლის 17 სექტემბრიდან.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა დამატებით 30 მერხის თაობაზე, 2012 წლის 20 თებერვალს დადებული ჩუქების ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 90-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 90-მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სასწავლო-აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - სასწავლო-აღმზრდელობით და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:51 საათზე.

დავით კახიაშვილი
თავმჯდომარე



გაიანე სიმონია

მდივანი

